



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.
www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 29
15/05/2017

29-03-4-201705151931



განკარგულება №29
15 მაისი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 სექტემბრის N61 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ დღევანდელი მდგომარეობით ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის და დგომის არსებული სქემა მოითხოვს გარკვეულ კორექტირებას.

გამომდინარე აქედან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის` საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის 2-ე ნაწილის `კ` ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 2-ე ნაწილის და 61-ე მუხლის 1-ლი და 2-ე ნაწილების თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 სექტემბრის N 61 განკარგულებაში, კერძოდ:

ა) განკარგულების მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) სქემა-14. ჭავჭავაძისა და 26 მაისის ქუჩების კვეთაში დაიდგას ორი ერთეული საგზაო ნიშანი 4.1.2. - მოძრაობა მარჯვნივ და ორი ერთეული საგზაო ნიშანი 4.1.4.- მოძრაობა პირდაპირ და მარჯვნივ. (თანდართული სქემის შესაბამისად)“.

ბ) განკარგულების მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


„19. გაიჭრას ა. წულაძის ქუჩაზე არსებული გზაგამყოფის 10 მეტრიანი მონაკვეთი (თანდართული სიტუაციური გეგმის და რენდერის შესაბამისად) და დაიდგას ორი ერთეული საგზაო ნიშანი 2.4. - დაუთმე გზა.“

მუხლი 2. კონტროლი აღნიშნული განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას (კომისიის თავმჯდომარე ლ.თოიძე).

მუხლი 3. აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი. სიორიძის ქუჩა #14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა